

# გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი

ხშირად დასმული კითხვები (24.04.2019)

1. აუცილებელია თუ არა პატენტის არსებობა კონკურსის I ეტაპზე?

**პასუხი:** არა, არ არის აუცილებელი.

2. რას გულისხმობს პროექტის კონცეფციის 2.4 პუნქტის შემდეგი კომპონენტები:

- ა) ტექნოლოგიის შეფასების, დადგენილ რეგულაციებთან/სტანდარტებთან შესაბამისობის საჭიროება და მიდგომები
- ბ) კვლევის ეთიკისა და უსაფრთხოების საკითხები, რომელიც გათვალისწინებული იქნება ტექნოლოგიის განვითარების პროცესში

**პასუხი:** პირველ კომპონენტში აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს საჭიროებს თუ არა პროექტის ფარგლებში შექმნილმა ან განვითარებულმა ტექნოლოგიამ გაიაროს სპეციფიური შეფასება, ან/და დადგენილ რეგულაციებთან/სტანდარტებთან შესაბამისობა, რაც გახდებოდა ინდუსტრიაში დანერგვის/კომერციალიზაციის წინაპირობა. ასევე მიუთითოთ, როგორი იქნება თქვენი მიდგომა, ამ საჭიროების უზრუნველსაყოფად. ასევე შეგიძლიათ დაასაბუთოთ ასეთი საჭიროების არ არსებობა.

მეორე კომპონენტში აპლიკანტმა უნდა დაასახელოს ეთიკისა და უსაფრთხოების ის საკითხები, რომელიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული კვლევის დროს. მაგალითისათვის, ეს საკითხები შეიძლება იყოს: პირადი მონაცემები, ცხოველებზე/ადამიანებზე ექსპერიმენტი, გარემოზე ზეგავლენა, საავტორო უფლებები და სხვა.

3. როგორ ივსება კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი 2)?

**პასუხი:** კრებსითი ინფორმაცია ივსება თქვენ მიერ GMUS-ის ბაზაში პროექტის დარეგისტრირების პარალელურად და მოგეთხოვებათ, წარმოადგინოთ ინფორმაცია კონკურსის ეტაპების შესაბამისად. მაგალითად, კონკურსის პირველ ეტაპზე აუცილებელია შევსებული იყოს: პროექტის სათაური, პროექტში ჩართული იურიდიული და ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაციები და ატვირთოთ პირველი ეტაპისათვის მოთხოვნილი დოკუმენტები. კონკურსის მეორე ეტაპზე კი შეავსოთ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაცია (გეგმა-გრაფიკი, ბიუჯეტი და ატვირთოთ მეორე ეტაპისათვის მოთხოვნილი დოკუმენტები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული დოკუმენტი გენერირდება ბაზიდან და ეგზავნება საერთაშორისო ექსპერტებს კონკურსის II ეტაპის შემდგომ.

4. აუცილებელია თუ არა, რომ ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებელი ძირითადი პერსონალის საქმიანობის სფერო ემთხვეოდეს პროექტის სამეცნიერო მიმართულებას?

**პასუხი:** არა, არ არის აუცილებელი.

5. შესაძლებელია თუ არა, პროექტში ჩართული იყოს ინდ. მეწარმე?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი პერსონალის სახით.

6. სავალდებულოა თუ არა კონსორციუმის შექმნისთვის იურიდიული საფუძველი?

**პასუხი:** არა, კონსორციუმის შექმნა იურიდიულ საფუძველს არ საჭიროებს.

7. შესაძლებელია თუ არა, ძირითად პერსონალში წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის სახელით ჩართული იყოს ფიზიკური პირი, რომელიც არ არის აფილირებული ამ ორგანიზაციასთან?

**პასუხი:** დიახ, შესაძლებელია. შეთანხმება რეგულირდება თავად ორგანიზაციასა და ფიზიკურ პირს შორის.

8. არის თუ არა შეზღუდვა ძირითადი პერსონალის თვითურ საგრანტო დაფინანსებასა და დამხმარე პერსონალის თვითურ შრომის ანაზღაურებაზე?

**პასუხი:** არა, აღნიშნულ ანაზღაურებათა თვითურ ოდენობაზე შეზღუდვა არ ვრცელდება. მთავარია, ძირითადი პერსონალის თვითური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის თვითური შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 50%-ს.

9. შესაძლებელია თუ არა, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელ იურიდიულ პირად ჩაითვალოს სსიპ, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას?

**პასუხი:** არა, არ არის შესაძლებელი.